# შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა;
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა

# ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

სამშენებლო უბანი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე №49, ს/კ 01.14.07.008.180. საპროექტო შენობას ექნება 1 მიწისქვეშა და 4 მიწისზედა სართული. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია როგორც ჩარჩოკავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა მონოილითური რკინაბეტონის ფილით. საძირკველი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ფილა. შენობის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები სადაც სპორტული დარბაზებია გადაიხურება ლითონის ფერმებით, რომელზეც მოეწყობა პროფნასტილის და რკინაბეტონის გადახურვის ფილა.

დღეისათვის შესრულებულია პირველი და მეორე ეტაპი.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

**--ფენა №1**---ტექნოგენური გრუნტი;
**--ფენა №2**---თიხნანარი;
**--ფენა №3**---გამოფიტული ძირითადი ქანები;
**--ფენა №4**---სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანები.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი გამოკვლეულ 7.0-16.0 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით.

საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 543, პ.49 T=18.00 თვე /ექსტრაპოლაციის შემდეგ/, სადაც 2.00---მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 4, პ.17-ის მიხედვით T=20.00x1.15=21.00 თვე. ხელშეკრულების საფუძველზე მშენებლობის ხანგრძლივობა დარჩა **14.00თვე.**

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები შესრულებულია

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. ქვაბულის დამუშავება "11" ღერძის გასწვრივ "D-H" ღერძების შორის /წითელ ხაზთან/ დამუშავდეს კედლის გამაგრებით. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და

ბულდოზერით. სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს არსებული მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გადატანა ან გაუქმება.

დამუშავების სიძნელის მიხედვით სამშენებლო მოედანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

**--ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1)** - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს;

**--თიხნარი (ფენა 2)** – ბულდოზერით – II ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავარტორით და ხელით – III ჯგუფს.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

დამუშავების სიღრმე **1.5მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:0.67;

--თიხნარი 1:0

დამუშავების სიღრმე **3.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1;

--თიხნარი 1:0.25

დამუშავების სიღრმე **5.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1.25;

--თიხნარი 1:0.5

ძირითადი ქანების დამუშავებისას ქვაბულის კედლის **დახრა უნდა იყოს:**

-დაქანების თანხვდენილი მოჭრებისას----------$80^0$;

-დაქანების მართობული მოჭრებისას----------$35^0$

**4.** წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ბეტონის ტუმბო **Putzmeister M52-5**-ს, საავტომობილო ამწე **KATO**-ს**, კოშკური ამწე Comansa-**ს საშუალებით. ბეტონის ტუმბოს დახმარებით მოხდება ბეტონის ნარევის მიწოდება, საავტომობილო ამწეების დახმარებით--------ლითონის კონსტრუქციების და აგრეთვე სამშენებლო მასალების მიწოდება. საავტომობილო ამწის დანიშნულება მოედანზე—კოშკური ამწის “დახმარება”.

კოშკური ამწის მუშაობისას **უნდა მოხდეს:**

--ისრის შემობრუნების შეზღუდვა;

--უკანა ნაწილის ზომის /11.20მ/ გათვალისწინება საშიში ზონის განსაზღვრის დროს;

--საშიში ზონის ზომები /იხილე СНиП III-4-80, გვ 12. ცხრილი 1/:

R=50.00+7.00=57.00მ ;
--მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება;
--ისრის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეული სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივად განაწილება ხელით, ნაწილობრივად საავტომობილო ამწით.

შენიშვნა: კოშკური ამწე დაყენდეს "2-3" და "G-H" ღერძების შორის მოჩარცოებულ მონაკვეთში. ამწის დემონტაჟის შემდეგ მოხდეს მონაკვეთის გადახურვის აღდგენა.

.

**მშენებლობის რიგები და ეტაპები:**

**მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის დარჩენილი სამუშაოები:**

--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაგრებით, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე-----**90 დღე;**
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**135 დღე;**
--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**45 დღე;**
--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**90 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**60 დღე;**
--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**60 დღე;**
--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**90 დღე;**
--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, ტექნიკური დანიშნულების ობიექტის მშენებლობა, ღია სპორტული მოედნის მოწყობა----------**90 დღე**.

## 5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

## 6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.

7. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

## Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

| | | |
|---|---|---|
| 1 | მოცულობა | 160.00მ³/სთ |
| 2 | აწევის სიმაღლე | 50.00მ |
| 3 | შვერა | 48.10მ |
| 4 | შლანგის სიგრძე | 4.00მ |
| 5 | მანქანის სიგრძე | 13.60მ |
| 6 | დგარების შორის მანძილი | 10.20მ |

## KATO SL 650R-ის ტექნიკური დახასიათება

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაქსიმალური ტვირთამწეობა | 65.00ტნ |
| 2 | ისრის სიგრძე | 44.50მ |
| 3 | ბატიტელის სიგრძე | 8.30-13.20მ |
| 4 | მაქსიმალური აწევის სიმაღლე | 45.50მ |
| 5 | აწევის სიმაღლე ბატიტელით | 58.60მ |
| 6 | დახრის კუთხე | $7^0$-$60^0$ |

## **Comansa 5lc 5010-ის ტექნიკური დახასიათება**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაქსიმალური აწევის სიმაღლე | 48.20მ |
| 2 | მაქსიმალური ტვირთამწეობა | 5.00ტნ |
| 3 | მინიმალური ტვირთამწეობა | 1.00ტნ |
| 4 | მაქსიმალური შვერა | 50.00მ |

**ყურადღება!!!** ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

NS Studio
0179 ბაზალეთის ქუჩა 3
ქ. თბილისი , საქართველო .
Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

# სპორტის უნივერსიტეტი

## ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი
## ს/კ 01.14.07.008.187

## მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
### /პროექტის კორექტირება/

ლუკა ჩაგანავა

ნინო ჭანტურია

გიორგი ხეცურიანი

ელენე ედიშერაშვილი

ბელა გოგოლაური

ქ. თბილისი 2025წ




## ექსპლიკაცია

1 საპროექტო შენობა
2 საპროექტო საქვაბე
3 საპროექტო ღია სპორტული მოედანი
4 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
5 დროებითი კვების "ოთახი"
6 დროებითი დახურული საწყობი
7 საავტომობილო ამწე
8 დროებითი ღია სასაწყობო
9 დროებითი ჭიშკარი –3 ცალი
10 დროებითი ღობე
11 კოშკური ამწე
12 სტაციონალური ბეტონის ტუმბო
13 ბეტონის მიქსერი
14 დროებითი საყარაულო
15 დროებითი ბიოტუალეტი

## პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო შენობა
- -საპროექტო შენობის დაბალსართულიანი ნაწილი
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -ამწის სამუშაო ზონა
- -ამწის საშიში ზონა

A3

მო-1

სამშენებლო გენგეგმა

NS Studio
info@nsstudio.ge

სამშენებლო გენგეგმა

#03.02.2025

Cad Dwg File:

Ns studio




ამწის დაყენება უნდა მოხდეს ქვაბულის ძირზე მოჩარჩოებულ მონაკვეთში.
ამწის დემონტაჟის შემდეგ უნდა მოხდეს მონაკვეთის გადახურვის აღდგენა

A8

8(1)-2

Ns studio

## ბ/ კალენდარული გეგმა 14.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგი და ეტაპები | დღე | თვეები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | | 8 | | 9 | | 10 | | 11 | | 12 | | 13 | | 14 | |
| | | | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 |
| | მშენებლობის მეორე რიგი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | მშენებლობის განხორციელების პირითადი პერიოდის დარჩენილი სამუშაოები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| III | შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაბრეებით | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | შენობა-ნაგებობის შუძის მოწყობის სამუშაოები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| IY | პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან: | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 0.00—7.708; | 45 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 7.70—15.308; | 45 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 15.30—17.008 | 45 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| Y | შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა | 45 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| YI | არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| YII | შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო—ტექნიკური ქსელების მოწყობა | 60 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| YIII | ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი | 60 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| IX | შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები ტექნიკური დანისნულების ობიექტის მშენებლობა და ღია სპორტული მოედნის მოწყობა | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

შენიშვნები:
1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

დაამუშავა: / ბ. ბოგოლაშვი /